

წარდგენილია პროფესიული განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებლის მიერ:

ვამტკიცებ რექტორი:
ზრახუნა N14 15.04.2013

ა(ა)იპ-საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-
კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

პროგრამის სახელწოდება: **ექთნის თანაშემწე**

საფეხური : **III**

პროგრამის ხელმძღვანელი: **ფხალაძე ნელი**

**თბილისი
2013 წ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. პროგრამის ზოგადი მონაცემები

პროგრამის დასახელება:	ექთნის თანაშემწე
დარგობრივი მიმართულება:	ჯანდაცვა ექთნის თანაშემწე 090551
საგანმანათლებლო საფეხური:	პროფესიული განათლების III საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა:	ქართული
პროგრამის მოცულობა:	90 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა:	2 წელი
სასწავლო წელი	2013-2014

II. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური

შესაბამისი პროცედურა რეგულირდება საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №9/ნ ბრძანებით „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და დაწესებულების დებულებით.

III. პროგრამის მიზნები

- მისცეს მესამე საფეხურის ექთნის თანაშემწის აუცილებელი ცოდნა და უნარები
- შეასწავლოს ისეთი დისციპლინები რომლების უზრუნველყოფენ კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევას შემოთავაზებული საფეხურისათვის, კერძოდ: ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია; ავადმყოფის (პაციენტის) მოვლა; მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგიის საფუძვლები; ურთიერთობის ფსიქოლოგია;
- ფარმაკოლოგიის საფუძვლები; ჰიგიენა ეპიდემიოლოგიის საფუძვლებით; სამედიცინო ეთიკა, დეონტოლოგია; პაციენტის მოვლა და პალიატიური მზრუნველობა; მათემატიკა; გადაუდებელი პირველადი დახმარება;
- მოამზადოს პრაქტიკოს-სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე შრომის ბაზრის, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, მოთხოვნების დაკმაყოფილებას პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.
- მისცეს შესაბამისი საფეხურის ცოდნა უცხო ენაში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში
- ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ზოგადბაზისური კომპეტენციების სისტემა შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

IV. სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება

მესამე საფეხურის ექთნის თანაშემწის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელმა იცის:

- იცის ურთიერთობის ფსიქოლოგია,
- პალიატიური მზრუნველობის არსი;
- საკუთარი თავის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას;
- ფლობს ბიოლოგიურ მეცნიერების (მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ეპიდემიოლოგიის) საფუძვლებს ;
- შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება.
- გაცნობიერებული აქვს საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები;
- ფლობს ასისტირების ძირითად საშუალებებს, ფორმებსა და მეთოდებს;
- აქვს ინფორმაცია წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ.
- პირველი გადაუდებელი დახმარება,
- ინფექციის კონტროლი
- სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

უშუალო ხელმძღვანელობით კურსდამთავრებულებს შეუძლიათ:

- შეუძლია: მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება;
- პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში;
- დეზინფექციის ჩატარება, კონცენტრირებული ხსნარების დამზადების წესის ჩათვლით;
- სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით);
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა;
- საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის

წევრების სამუშაო გეგმასთან.

- შეუძლია ფიზიკური საჭიროებების იდენტიფიცირება;
- იცის პაციენტის უფლებები და უწევს ანგარიშს;
- შეუძლია დღიურის წარმოება და ინფორმაციის შენახვა;
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება;
- მოსავლელი პირის კვება, დაბანა, აბაზანის გაკეთება, ჩაცმა, საწოლის გამზადება, ტრანსპორტირება.
- გარეგანი მანიპულაციების ჩატარება;
- ნაწოლების პრევენცია; დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა.
- განავლის მიმღები და შარდმიმღები სისტემების გამოცვლა, უტილიზაცია.
- მწოლიარე პაციენტისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა, თეთრეულის გამოცვლა.
- შეუძლია ექიმის ან ექთნის დახმარება დესმურგის მიმდინარეობისას;
- შეუძლია დახმარება წამლების დარიგების დროს
- სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი
- უწევს ასისტირებას სტერილური მანიპულაციების დროს, უშუალოდ ასრულებს სუფთა მანიპულაციებს,
- პრეოპერაციულად პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური დამუშავება)

3. დასკვნის გაკეთების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეუძლია ექთნის ინფორმირება პაციენტის მიერ წამლის მიღების რეჟიმის დარღვევის, ზედოზირების, უეცარი შეწყვეტის, ან ერთი წამლის მეორეთი თვითნებურად ჩანაცვლების შემთხვევაში;
- შეუძლია ექთნის ან მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინება. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა.
- პრობლემურ ან ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეუძლია მიზნუბედობრივი კატეგორიებით აზროვნება, გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება და ამის შესახებ ექთნის/ექიმის ინფორმირება;

4. კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია::

- შეუძლია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება;
- კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან;
- სხვისი საუბრის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება;
- მარტივი ტექსტების გაგება უცხოურ ენაზე; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა
- შეუძლია პაციენტის მოვლაზე, მანიპულაციებსა და სხვა პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია განსხვავებულ სიტუაციებში;
- შეუძლია მშობლიურ და უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გააზრება, კომუნიკაცია; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს პროფესიულ საქმიანობაში, იცის კომპიუტერიული საოფისე პროგრამები.

5. სწავლის უნარი

- შეუძლია მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა.
- შეუძლია, სხვისი ხელმძღვანელობითა და რჩევების გათვალისწინებით განსაზღვროს შემდგომი სწავლის პერსპექტივები
შეუძლია საკუთარი სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება; ზრუნვა პროფესიული განვითარებისათვის.

6. ღირებულებები

- იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს, მოქმედებს მათ შესაბამისად;
- შეუძლია, პროფესიული პრობლემის წამოჭრისას გულისყურით მოეკიდოს საკითხს;
- კრიტიკული სიტუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას პაციენტის მიმართ.

V. სწავლის შედეგების რუქა

№	სასწავლო კურსის დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	x	x		x	x	
2.	ინგლისური ენა		x		x		
3.	მათემატიკა	x	x				
4.	ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის საფუძვლები	x	x	x	x	x	
5.	ზოგადი ჰიგიენა ეპიდემიოლოგიის საფუძვლებით	x	x	x			
6.	ფარმაკოლოგიის საფუძვლები	x	x	x			
7.	მიკრობიოლოგია, იმუნოლოგიის საფუძვლები	x	x	x			x
8.	ავადმყოფის (პაციენტის) მოვლა	x	x	x	x	x	x
9.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	x	x	x	x		x
10.	სამედიცინო ეთიკა, დეონტოლოგია	x	x	x	x	x	x
11.	ბავშვთა მოვლა	x	x	x	x	x	x
12.	ურთიერთობის ფსიქოლოგია	x	x	x			
13.	ხანდაზმულთა და მოხუცებულთა მოვლის თავისებურებანი და პრევენციული ღონისძიებები	x	x	x	x	x	x
14.	პალიატიური მზრუნველობა	x	x		x		x
15.	სასწავლო პრაქტიკა: 1. სამედიცინო პროცედურები და პაციენტის მოვლა	x	x	x	x	x	x
	2. პირველადი გადაუდებელი დახმარება	x	x	x	x	x	x
	3. ხანდაზმულთა და მოხუცებულთა მოვლის თავისებურებანი	x	x	x	x	x	x
	4. ბავშვთა მოვლა	x	x	x	x	x	x
	5. პალიატიური მზრუნველობა	x	x	x	x	x	x
16.	საწარმოო პრაქტიკა: სხვადასხვა ეტიოლოგიის მქონე დაავადებების სპეციფიკა და შინ მოვლა		x	x	x	x	x

VI. სასწავლო გეგმა I წელი

№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება								სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები						საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური გამოცდები	დასვენითი გამოცდა			
1.	ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	10	32	-	-	4	2	48	27	75
2.	მათემატიკა	2	10	16			4	2	32	18	50
3.	ინგლისური ენა	4	20	38	-	-	4	2	64	36	100
4.	ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის საფუძვლები.	4	38	20	-	-	4	2	64	36	100
5.	ზოგადი ჰიგიენა ეპიდემიოლოგიის საფუძვლებით	4	48	10	-	-	4	2	64	36	100
6.	ფარმაკოლოგიის საფუძვლები	3	32	10	-	-	4	2	48	27	75
7.	მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგიის საფუძვლები	4	48	10	-	-	4	2	64	36	100

8.	ავადმყოფის (პაციენტის) მოვლა	8	90	31	-	-	4	3	128	72	200
9.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	4	38	20	-	-	4	2	64	36	100
10.	სამედიცინო ეთიკა, დეონტოლოგიის საფუძვლები	4	40	18	-	-	4	2	64	36	100
11.	ბავშვთა მოვლა	4	40	18	-	-	4	2	64	36	100
12.	ურთიერთობის ფსიქოლოგია	2	16	10	-	-	4	2	32	18	50
13.	ხანდაზმულთა და მოხუცებულთა მოვლის თავისებურებანი და პრევენციული ღონისძიებები.	4	38	20	-	-	4	2	64	36	100
14.	პალიატიური მზრუნველობა.	4	38	20	-	-	4	2	64	36	100
	სულ:	54	506	273	-	-	56	29	864	486	1350

სასწავლო გეგმა II წელი

№	სასწავლო კურსის დასახელება	პრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება								სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები						საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური გამოცდები	დასკვნითი გამოცდა			
1.	სასწავლო პრაქტიკა : 1. სამედიცინო პროცედურები და პაციენტის მოვლა	7	-	-	170	-	2	3	175	-	175
	2. პირველადი გადაუდებელი დახმარება	5	-	-	120	-	2	3	125	-	125
	3. ხანდაზმულთა და მოხუცებულთა მოვლის თავისებურებანი	5	-	-	120	-	2	3	125	-	125
	4. ბავშვთა მოვლა	4	-	-	95	-	2	3	100	-	100

	5.პალიატიური მზრუნველობა.	3	-	-	70	-	2	3	75	-	75
	სულ:	24									600
2.	საწარმოო პრაქტიკა: სხვადასხვა ეტიოლოგიის მქონე დაავადებების სპეციფიკა და შინ მოვლა	12	-	-	-	295	-	5	300	-	300
	სულ :	36	-	-	575	295	10	20	900	-	900

VII. სწავლა/სწავლების მეთოდები

- თეორიული სწავლება;
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა ;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა.

სწავლების მეთოდები ირჩევა კურსის განმახორციელებლის მიერ რომელიც მიმართულია სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისათვის. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხდება სწავლების აქტივიზაცია, რაც სტუდენტში ახდენს შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ასევე მიზნად ისახავს დაინტერესოს სტუდენტი შემოქმედებითად, აქტიური გახადოს იგი ცოდნის მარაგის დაგროვების პროცესში. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი მეთოდები:

სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-

ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს სასწავლო გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის: სტუდენტის, საგანმანათლებლო დაწესებულების და დამსაქმებლისთვის.

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება დაწესებულების ფარგლებს გარეთ ხოლო სასწავლო პრაქტიკა დაწესებულების ბაზაზე.

სასწავლო/საწარმოო პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ; პრაქტიკის ადგილის გაცნობა მის მიერ, სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური დაკვირვება; სტუდენტის ზედამხედველობა სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ. პრაქტიკის შუალედური შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ; პრაქტიკის საბოლოო შეფასება.

გამოიყენებულია სწავლა/სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის:

სამუშაო ჯგუფში /პრაქტიკული მეცადინეობა-პრაქტიკული მეთოდები, რომელიც აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტი ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არანაკლებ ეფექტური მეთოდები:

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია

უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლების პროცესში.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეცადინეობები;

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს კურსის განმახორციელებლის და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გადაცემა; ლექცია შეიძლება ჩატარდეს განსხვავებული მეთოდებით, როგორცაა: ინტერაქტიული ლექცია; ლექცია პრეს-კონფერენცია; მოწვეული სტუმარი; ინფორმაციული ლექცია და ა.შ

პრეზენტაციის მეთოდი-შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური პრეზენტაციები

შენიშვნა: სილაბუსებში გაიწერება სწავლების ის მეთოდები რომელსაც გამოიყენებს კურსის განმახორციელებელი

VIII. ცოდნის შეფასების სისტემა

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ არსებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

2. ხოლო უარყოფითი შეფასების საზღვრები შემდეგნაირია:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების დონის ზოგადი აღწერა

“**A**” თუ სტუდენტმა გამომჟღავნა სასწავლო მასალის ყოველმხრივი, ღრმა ცოდნა და გამართულად შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული ყველა დავალება, აითვისა სავალდებულო ლიტერატურა,

“**B**” თუ სტუდენტმა გამომჟღავნა სასწავლო მასალის ცოდნა და გამართულად შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებების 81-90%, ასევე აითვისა სავალდებულო

“**C**” თუ სტუდენტმა გამომჟღავნა სასწავლო მასალის სრული ცოდნა და წარმატებით შეასრულა სასწავლო კურსით გათვალისწინებულ დავალებათა 71-80 %-ს, ასევე აითვისა სასწავლო კურსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა.

“**D**” თუ სტუდენტმა გამომჟღავნა სასწავლო მასალის ცოდნა იმ მოცულობით, რაც საკმარისია შემდგომი სწავლებისათვის; თავი გაართვა სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალების 61-70 %-ის შესრულებას. იგი იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, უნარი შესწევს ამ ცოდნის შევსების; გამომჟღავნა შესწავლილი მასალის თეორიული ცოდნის, გაცნობიერების და გამოყენების უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები.

“**E**” თუ სტუდენტმა გამომჟღავნა სასწავლო მასალის არასრულყოფილი ცოდნა, უძნელდება სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალებების 51-60 %-ის

შესრულება, სრულად არ იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, გაუძნელებდა დამოუკიდებლად მუშაობა.

“FX” თუ სტუდენტმა გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, ვერ დააკმაყოფილა სასწავლო კურსის დაუფლებისათვის სავალდებულო მოთხოვნები, ვერ გამოამჟღავნა სასწავლო-საპროგრამო მასალის ცოდნა, დაუშვა პრინციპული შეცდომები სასწავლო კურსით გათვალისწინებული დავალების შესრულების დროს, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რეკომენდებულ ლიტერატურაზე, მაგრამ იგი, ინტენსიური მეცადინეობის შედეგად მოკლევადიან პერიოდში შესძლებს დადებითი შეფასების მიღებას.

“F” თუ სტუდენტმა ძალზედ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სასწავლო კურსის შინაარსზე, არ იცნობს სასწავლო კურსით გათვალისწინებულ მასალასა და სავალდებულო ლიტერატურას, არ შესწევს უნარი დამოუკიდებელი მუშაობით დაეუფლოს დისციპლინას და საჭიროებს სასწავლო კურსის თავიდან შესწავლას.

ზემოაღნიშნული შედეგების რანჟირება ატარებს ზოგად ხასიათს, ადეკვატურია თეორიული კომპონენტისათვის.

IX. შეფასების მეთოდები

შეფასებითვის განსაზღვრულია მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის შედეგების დემონსტრირებაზე. ესენია:

- ✓ წერითი მეთოდი (ტესტირების, შინაარსის და ა.შ)
- ✓ ზეპირი მეთოდი
- ✓ საწარმოო პრაქტიკის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასება მრავალმხრივია

შეფასების კრიტერიუმები

აქტივობა- 20

შუალედური გამოცდა I – 20 ქულა

შუალედური გამოცდა II - 20 ქულა

დასკვნითი გამოცდა-40

შენიშვნა: სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ჰქონდეს განსხვავებული შეფასების კრიტერიუმები რომლებიც უნდა აისახოს სილაბუსში

შეფასების ზოგადი მახასიათებლები:

აქტივობა (პრაქტიკული, სამუშაო ჯგუფში მუშაობა) - ფასდება სასწავლო კურსის განმავლობაში საშინაო დავალებების შესრულებით, განხილვებში მონაწილეობით, დისკუსიებით, ქვიზით, პრეზენტაციებით და ა.შ. აქტივობის დროს ხდება ასევე სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი მუშაობის დროს დამატებით მიღებული ცოდნის გამომჟღავნება. აქტივობით მიღებული ქულების შეკრებით დგინდება სტუდენტის მიერ აღნიშნული კომპონენტის დაძლევის შედეგი

I და/ან II შუალედური გამოცდა: წერიტი/ტესტური (მიზნად ისახავს განვლილი თეორიული მასალის დაუფლების შემოწმებას, გამოიყენება ცოდნისა და უნარების შესაფასებლად)

I და/ან II შუალედური გამოცდა: ზეპირი (მიზნად ისახავს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამოუკიდებელი შემოწმებას ზეპირი პრეზენტაციის გზით)

დასკვნითი გამოცდა- მიზნად ისახავს სისტემური/სრული ცოდნის და/ან პრაქტიკული უნარების შემოწმებას, რომელიც სტუდენტმა მიიღო განვლილი მასალის შესწავლისას შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ზეპირი ასევე წერიტი სახით ან კომბინირებულად (ქულები გადანაწილებული იქნება შეფასების არჩევის მიხედვით საკითხებზე)

წერიტი გამოცდა

1.18-20 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა

2.15-17 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია: საკითხის გადმოცემისას არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა

3.13-14 ქულა: საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები

4.11-12 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა, მაგრამ შესაძლებელია ჩაითვალოს პასუხი საკმარისად

5.5-10 ქულა: პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები

6.0-4 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული ან ძალიან მცირე დოზით არის გადმოცემული შეცდომებით.

ზეპირი გამოცდა

- 1.19-20 ქულა: ზედმიწევნით ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ საკითხს, აქვს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, შეუძლია საპროგრამო მასალის გადმოცემა ამომწურავად პროფესიულ ენაზე, პასუხობს კურსის განმახორციელებლის მიერ დასმულ პროგრამასთან დაკავშირებულ დამატებით შეკითხვებს
- 2.15-18 ქულა: ერკვევა პროგრამით გათვალისწინებულ საკითხში, აქვს საგანში დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეუძლია საპროგრამო მასალის გადმოცემა
- 3.11-14 ქულა: ერკვევა პროგრამით გათვალისწინებული საკითხის მნიშვნელოვან ნაწილში; შეუძლია საპროგრამო მასალის გადმოცემა, ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი
4. 4-10 ქულა: პროგრამით გათვალისწინებული საკითხის ნახევარზე ნაკლების გადმოცემა შეუძლია დამაკმაყოფილებლად. ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად აქვს დამუშავებული
5. 0-3 ქულა: პროგრამით გათვალისწინებული საკითხი არ არის განხილული დამაკმაყოფილებლად.

ტესტური გამოცდა

სტუდენტს მიეცემა ტესტები 20 კითხვით

თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

საერთო ჯამური ქულა გამოითვლება სწორი პასუხების ჯამით

შენიშვნა: კურსის განმახორციელებელი/მასწავლებელი ირჩევს შეფასების მეთოდების მისაღებ ვარიანტს რათა ადეკვატურად დაადასტუროს სტუდენტთა მიღწევები

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია

სასწავლო კურსის ხარგრძლივობიდან გამომდინარე შესაძლებელია

პირველი შუალედური გამოცდა ჩატარდეს სასწავლო პროცესის დაწყებიდან სხვადასხვა პერიოდში

მეორე შუალედური გამოცდა ჩატარდეს სასწავლო პროცესის დაწყებიდან სხვადასხვა პერიოდში

საბოლოო გამოცდა ჩატარდეს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ ბოლო კვირაში

დამატებითი გამოცდა ტარდება საბოლოო/დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღის ვადაში (დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა)

შენიშვნა: დეტალური ინფორმაცია გამოცდების ჩატარების შესახებ მოცემულია თითოეულ სილაბუსში

თითოეულ სასწავლო კურსში შუალედური და საბოლოო გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება თუ სტუდენტის შეფასება არის განსაზღვრული ქულების ნახევარს პლიუს ერთი. მაგ: თუ შუალედური გამოცდისათვის განკუთვნილია 20 ქულა, გამოცდა ჩაბარებულად ითვლება თუ სტუდენტი დააგროვებს 11 ქულას.

შენიშვნა: სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და საგამოცდო პერიოდი სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება იყოს განსხვავებული

X. სწავლების ორგანიზების თავისებურებები.

სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ იყოს სტუდენტზე ორიენტირებული. სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა ორი წელია, რომელიც მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე საგამოცდო პერიოდს.

პროფესიული სტუდენტის დატვირთვა შეადგენს 2250 ასტრონომიულ საათს, აქედან სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას ეთმობა 40% ხოლო თეორიას 60% .

სასწავლო / საწარმოო პრაქტიკას სულ ეთმობა 900 ასტრონომიული საათი;

საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება 80 კვირა; სულ მოიცავს 90 კრედიტს. 1 კრედიტი უტოლდება 25 საათს.

XI. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ

№	სასწავლო კურსის დასახელება	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
1	ავადმყოფის (პაციენტის) მოვლა	ფრუიძე ნინო	ექიმი
2	მიკრო ბიოლოგია, იმუნოლოგიის საფუძვლები.	როინიშვილი ელდარი	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
3	ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის საფუძვლები.	კოკაია ლალი	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
4	სამედიცინო ეთიკა, დეონტოლოგია	ნანა გორგასლიძე	ფარმაცევტულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
5	ზოგადი ჰიგიენა ეპიდემიოლოგიის საფუძვლებით	ფხალაძე ნელი	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

6	ფარმაკოლოგიის საფუძვლები	ჭუმბურიძე თამაზ	ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
7	ურთიერთობის ფსიქოლოგია	ბუხუღიანი იზო	პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი
8	ინფორმაციული ტექნოლოგიები მათემატიკის ელემენტებით.	ნონიკაშვილი მარიამი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების მაგისტრი
9	ინგლისური ენა	ბერიშვილი ნია	ფილოლოგიის მაგისტრი(სპეციალობა თარგმანმცოდნეობა); დოქტორანტი
10	პირველადი გადაუდებელი დახმარება	მალანია ნანა	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
11	ბავშვთა მოვლა	ფხალაძე თეა	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
12	ხანდაზმულთა და მოხუცებულთა მოვლის თავისებურებები და პრევენციული ღონისძიებანი.	ფხალაძე ნელი	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
13	პალიატიური მზრუნველობა	ფხალაძე ნელი	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
14	მათემატიკა	თხელიძე მერაბი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
14	სასწავლო პრაქტიკა 1. სამედიცინო პროცედურები და პაციენტის მოვლა.	ფხალაძე თეა	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
	2. პირველადი გადაუდებელი დახმარება	მალანია ნანა	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
	3. ხანდაზმულთა და მოხუცებულთა მოვლის თავისებურებანი	ფხალაძე ნელი	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
	4. ბავშვთა მოვლა	ფხალაძე თეა	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
	5. პალიატიური მზრუნველობა.	ფხალაძე ნელი	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
15	საწარმოო პრაქტიკა: სხვადასხვა ეტიოლოგიის მქონე დაავადებების სპეციფიკა და შინ მოვლა	ფხალაძე თეა	მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

XII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია პროგრამის კატალოგი, რომელიც მოცემულია დაწესებულების ვებ გვერდზე.

ამავე მიზნით სტუდენტებს სწავლის დაწყებისთანავე ეძლევათ პროგრამის კატალოგი, სილაბუსები, მეცადინეობის ცხრილები, სადაც მოცემულია მათთვის აუცილებელი ინფორმაცია.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი საინფორმაციო-ტექნოლოგიური და საბიბლიოთეკო რესურსით.

პროგრამის შესაბამისად არსებობს სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები სხვა ტექნიკური ბაზა რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საწარმოო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად გაფორმებულია ხელშეკრულება:

1. მე-200 საჯარო სკოლა-პანსიონი
2. შპს აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
3. შპს ”მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკა”
4. შპს ”ბავშვთა ახალი კლინიკა ”

XIII. კურსდამთავრებულთა დასაქმება

ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად მე-3 საფეხურის ექთნის თანაშემწის დასაქმების ადგილებია:სტაციონარში,ჰოსპისში,ბინის პირობებში ან/და მომვლელად მგზავრობა-მოგზაურობის დროს;ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების დაწესებულებაში (მოხუცთა თავშესაფარი,ბავშვთა სახლები); ბინაზე მოვლის სამსახურში;

tsodna.edu.ge